ღია სივრცე -

სოციალური მეწარმეობის

მხარდაჭერა და განვითარება

წესდება

1. ზოგადი დებულება

1. „ღია სივრცე - სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა და განვითარება" (შემდომში - ღია სივრცე) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს.

2. „ღია სივრცე" თავის საქმიანობას ანხორციელებს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

3. „ღია სივრცე"-ს საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ის შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. „ღია სივრცე"-ს დამფუძნებლებია:

✓ მინდია სალუქვაძე (პ/ნ 33001027422) - ა.(ა.)ი.პ. „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - პროგრესის სახლი" (ს/კ 237075133) გამგეობის თავმჯდომარე.

✓ ნათია გიგიაძე (პ/ნ 33001056335) - ა.(ა.)ი.პ. „სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო" (ს/კ 237093104), გამგეობის თავმჯდომარე.

✓ თეონა სადრაძე (პ/ნ 33001074110) - ა.(ა.)ი.პ. „საქართველოს ევროკლუბები" (ს/კ 437375136), აღმასრულებელი დირექტორი.

5. საკონტაქტო მონაცემები:

- იურიდიული მისამართი: საქართველო, 3500, ოზურგეთი, 26 მაისის 11ა
- ელექტრონული ფოსტა: openspaceguria@yahoo.com

საქართვე
საჯარო რ
თარიღი "_
გვ.რაოდენობ

2. მიზნები და საქმიანობის ფორმები.

1. „ღია სივრცე“ ქმნის დასაქმების და განვითარების ინკლუზიურ გარემოს ახალგაზრდების და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით რეგიონის განვითარებას და დასაქმების ბაზრის გაფართოებას.

2. „ღია სივრცე“-ს მიზნებია:

- ✓ საზოგადოებაში და უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდებში, სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სოციალური მეწარმოების განვითარებაის ხელშეწყობა, სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა მხარდაჭერა, უფლებების დაცვა და ადვოკატირება;
- ✓ სოციალური საწარომო/ების დაფუძნება, მათი ორგანიზაციული მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ სოციალური საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის ერთიანი სარეალიზაციო ქსელის შექმნა;
- ✓ სტრატეგიების ანალიზი და საჭიროებების მაიდენტიფიცირებელი კვლევევების ჩატარება. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ინოვაციური პროექტების ინიცირება და განხორციელება;
- ✓ **შექმნას ახალგაზრდებისათვის და სპეციალური საჭიროების მქონე პრებისთვის დასაქმების, მოხალისეობის, სტაჟირებისა და არაფორმალურ განათლებაზე წვდომის შესაძლებლობები;**
- ✓ ახალგზრდების სამოქალაო სექტორში ჩართულობის, სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის ხელშეწყობა;
- ✓ თემის მობილიზება და სათემო მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდებში მოხალისეობის პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდებში თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ✓ ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების შესწავლა, მათი გადაჭრის გზების ძიება, აქტიური ჩართულობა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში.

3. „ღია სივრცე“ ორგანიზაციის მიზნების შესასრულებლად უფლებამოსილია:

- ✓ ჩაატაროს სემინარები, ტრენინგები, დისკუსიები, კონფერენციები, პრეზენტაციები, კონკურსები, კვლევა-ძიებები, ფესტივალები, თემატური საღამოები, სპორტული შეჯიბრებები, ვიქტორინები, ექსპედიციები, ეკოლოგიური და საქველმოქმედო აქციები, სხვა სახის ღონისძიებები;
- ✓ ითანამშრომლოს საზოგადოებრივ კავშირებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან. მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ორგანიზაციების/ფონდების პროგრამებსა და კონკურსებში, გამოვიდეს პროგრამებისა და კონკურსების ინიციატორად;
- ✓ კანონით დადგენილი წესით განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობა;
- ✓ ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის კანონით აკრძალული.

3. წევრობა და წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. „ღია სივრცე“-ს დამფუძნებელი ორგანიზაციის ხელმღვანელი პირი ავტომატურად იძენს ოფიციალაური წარმომადგენელის სტატუს და ის მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის საქმიანობაში.

2. „ღია სივრცე“-ს წევრ ორგანიზაციას უფლებამოსილება უწყდება:

- წევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის განცხადების საფუძველზე;
- წევრი ორგანიზაციის ლიკვიდიაციის შემთხვევაში.

3. წევრობის უფლებამოსილების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით, ღია კენჭისყრით, თუ:

- წევრი ორგანიზაციის საქმიანობა ეწინააღმდეგება „ღია სივრცე“-ს მიზნებს;
- წევრი ორგანიზაცია ან/და მისი ხელმღანელი პირი უხეშად არღვევს წესდებას, შინაგანაწესს ან/და მათზე დაკისრებულ მოვალეობებს;

- წევრი ორგანიზაციის ხელმღანელი პირი ზედიზედ 3-ჯერ არ დაესწრება საერთო კრებას.

4. დაუშვებელია წევრობის სხვა პირზე გადაცემა.

5. „ღია სივრცე"-ს არსებობა დამოუკიდებელია მასში შემავალი წევრი ორგანიზაციების შემადგენლობის ცვლილების მიუხედავად.

6. „ღია სივრცე" დამოუკიდებელია მისი დამფუძნებელი ორგანიზაციების და ხელმძღვანელი პირების მდგომარეობისაგან.

7. „ღია სივრცე"-ს უფლებამოსილია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო თუ კომერციულ ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში.

8. წევრი ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენელს უფლება აქვს:

✓ აირჩიოს და არჩეული იყოს ნებისმიერ ხელმძღვანელ ორგანოში;

✓ მონაწილეობა მიიღოს საქმიანობასა და ნებისმიერი საკითხის განხილვაში;

✓ კითხვით, წინადადებით მიმართოს ნებისმიერ ორგანოს თუ თანამდებობის პირს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით;

✓ „ღია სივრცე"-ს მიზნებიდან გამომდინარე, ისარგებლოს საკუთრებაში არსებული მატერიალურ/ ტექნიკური საშუალებებით.

9. წევრი ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი ვალდებულია:

✓ დაიცვას წესდება და შინაგანაწესი, იზრუნოს მიზნების, სამუშაო პროგრამის რეალურად გატარებაზე;

✓ მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქმიანობაში და შეასრულოს მასზე დაკისრებული დავალებები;

✓ თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არ მიაყენოს მატერიალური ან/და მორალური ზიანი „ღია სივრცე"-ს.

10. „ღია სივრცე"-ს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ორგანიზაციის ქონებით და მისი ვალდებულებებისთვის დამფუძნებლები, წევრები და ხელმძღვანელი პირები პასუხს არ აგებენ. „ღია სივრცე" არ აგებს პასუხს მისი დამფუძნებლების, წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ვალდებულებებზე.

11. „ღია სივრცე"-ს წევრი ორგანიზაციის ნებისმიერ წარმომადგენელს ეკრძალება „ღია სივრცე"-ს სახელით ისეთი სახის განცხადების გაკეთება, რომელიც ეწინააღმდეგება მიზნებს ან/და საერთი კრების გადაწყვეტილებებს. წესდების ამ პუნქტის დამრღვევი ავტომატურად გაირიცხება და გაკეთდება სათანადო ოფიციალური განცხადება.

4. მმართველობითი ორგანოები

1. „ღია სივრცე"-ს უმაღლესი მმართველი ორგანოა დამფუძნებელი ორგანიზაციების ხელმღვანელი პირების (ოფიციალური წარმომადგენლების) საერთო კრება, რომელიც იმართება მინიმუმ წელიწადში ორჯერ.

2. რიგგარეშე კრება მოიწვევა ნებისმიერი ოფიცილაური წარმომადგენელის ან/და აღმასრულებელი დირექტორის წერილობით მოთხოვნითა და დღის წესრიგის მინიშნებით.

3. წერილობითი მოთხოვნა იწერება აღმასრულებელი დირექტორის სახელზე, რომელიც ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის თარიღის და ადგილის შესახებ განცხადების შემოტანიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღის ვადაში.

4. განცხადება წევრთა როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ქვეყნდება „ღია სივრცე"-ს ოფიციალურ ვებ ან/და ფეისბუკ გვერდზე, ან/და პირადად ეცნობება წევრებს კრებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღით ადრე.

5. როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას უზრუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორი. საერთო კრების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც თანმიმდევრულ ასახვას ჰპოვებს კრებაზე განხილული საკითხები და შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

6. საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი შეტანილი იყო დღის წესრიგში. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. კენჭისყრა კრებაზე ღიაა.

7. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამივე დამფუძნებელი ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლები.

8. საერთო კრებას კომპეტენციას განეკუთვნება:

✓ შინაგანაწესის შემუშავება/დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა. საწევრო გადასახადის და საჯარიმო სანქციების მიღება/გაუქმება;

✓ წესდების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა. გადაწყვეტილების მიღება მიზნების შეცვლის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;

✓ აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა ან/და განთავისუფლება;

✓ აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქმიანობის მიმართულებების მიღება/ დამტკიცება;

✓ აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის ანგარიშის მიღება/დამტკიცება;

✓ აღმასრულებელი დირქტორის გადაწყვეტილებაზე „ვეტოს" დადების უფლება.

9. კენჭისყრა კრებაზე ღიაა, გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით, დამფუძნებელ ორგანიზაციებს (ოფიციალურ წარმომადგენლებს) საერთო კრებაზე აქვს თითო ხმის უფლება.

10. აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა ხდება სამივე დამფუძნებელი ორგანიზაციების ხელმღვანელი პირების (ოფიციალური წარმომადგენლების) ერთობლივი გადაწყვეტილებით.

11. აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადით და ის ხელმეორედ შეიძლება იქნას დანიშნული.

12. აღმასრულებელი დირექტორი:

✓ წარმოადგენს და იცავს „ღია სივრცე"-ს ინტერესებს ყველა დონეზე;

✓ „ღია სივრცე"-ს სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, კონტრაქტებს, ხელს აწერს მემორანდუმებს და სხვა სახის ოფიციალურ საბუთებს;

✓ თავმჯდომარეობს საერთო კრებას, ხელს აწერს კრების ოქმს;

✓ საწესდებო მიზნების განსახორციელებლად განსაზღვრავს პროგრამულ მიმართულებებს;

✓ იღებს და ამტკიცებს სამუშაო პროექტებს/პროგრამებს;

✓ განსაზღვრავს ორგანიზაციის სახელწოდებას, იურიდიულ ან/და ფიზიკურ მისამართს, სხვა საკონტაქტო მონაცემებს;

✓ აფუძნებს საწარმოებს და ნიშნავს საწარმოების ხელმძღვანელ პირებს;

✓ იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობისათვის საჭირო თანამდებობის პირებისა ან/და მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულების განსაღვრა/დამტკიცებასა და მათ დანიშვნა/გათავისუფლებაზე;

✓ უფორმებს ან/და უწყვეტს შრომით ხელშეკრულებას პერსონალს და დაქირავებულ თანამშრომლებს;

✓ იღებს გადაწყვეტილებას წევრთა და დაქირავებულ თანამშრომელთა წახალისების ან/და დისციპლინალური გადაცდომის შესახებ;

✓ გამოსცემს ბრძანებებს წევრების/თანამშრომლების (მათ შორის საკუთარი თავის) მივლინების ან/და შვებულების თაობაზე;

✓ განკარგავს „ღია სივრცე"-ს ფულად სახსრებსა და მატერიალურ საშუალებებს;

✓ ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს და აგრეთვე ადმინისტრაციული საკითხების ან/და ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც არ საჭიროებენ საერთო კრების მოწვევას.

13. აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია საქმეს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ეთიკური სტანდარტების შესაბამისად. იგი პასუხს აგებს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვა მისი არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი საქმიანობის გამო. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა მის მიერ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან/და მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შესაძლებელია „ღია სივრცე"-ს საერთო კრების მიერ.

5. ფინანსები და ქონება. საქმიანობის შეწყვეტა

1. „ღია სივრცე“-ს ქონება იქმნება: დამფუძნებელი ორგანიზაციების მიერ ფუნქციონირებისათვის გადაცემული/შემენილი ქონებისგან; ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა შემოწირულობებისგან; გრანტებიდან; სამეწარმეო ან/და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხებიდან; სხვა კანონიერი შემოსავლებისაგან.

2. „ღია სივრცე“-ს შეუძლია საკუთრებაში იქონიოს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

3. „ღია სივრცე“-ს უფლება აქვს დადოს გარიგებები, კონტრაქტები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იურიდიული პირ(ებ)ის წილ(ებ)ი ან/და აქციები, აგრეთვე თავად დააფუძნოს იურიდიული პირ(ებ)ი ან/და წარმომადგენლობ(ებ)ი ან/და ფილიალ(ებ)ი.

4. შემოსავლები არ ნაწილდება წევრთა შორის და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად. გამონაკლის შემთხვევებში, აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, კონკრეტული სამუშაოს შესრულება წევრს შეიძლება აუნაზღაურდეს ჰონორარით.

5. „ღია სივრცე“-ს ლიკვიდაცია ხდება:

- საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დამფუძნებლები

მინდია სალუქვაძე. _____ მინდია სალუქვაძე (პ/ნ 33001027422)

ნათია გიგიაძე _____ ნათია გიგიაძე (პ/ნ 33001056335)

_____ 201 წ.

თეონა სადრაძე _____ თეონა სადრაძე (პ/ნ 33001074110)

ელმარეკანული ინფორმაცია
ბრალი ადგილი - ...

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სამართლებრივი აქტების ეროვნული სააგენტო
შტამპი №787
თარიღი "28" ივნისი 2012 წ.
ფუნქციონერი ... ხელმოწერა